სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080172137258223

№ 797 09 / მარტი / 2023 წ.

შპს „ლ.ჯ.+“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: SPA210002400;

შესყიდვის ობიექტი: 77200000 – სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „ლ.ჯ.+“ (ს/ნ: 443868771);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 12 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ 2023 წლის 12 იანვრის № 11/133 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 223), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ლ.ჯ.+“-ის (ს/ნ: 443868771) მიერ SPA210002400 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 27 სექტემბრის №220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე lcucqiridze51@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 20 იანვრის № 225 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2023 წლის 23 იანვარს წარმოადგინა 2023 წლის 23 იანვრის №1 განმარტება (რეგისტრაციის № 600) SPA210002400 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 27 სექტემბრის № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 27 სექტემბრის № 220 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 1 დეკემბრამდე ცვალებადი მეტეოროლოგიური პირობების გამო ვერ ხერხდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულება, რის გამოც 2022 წლის 29 ნოემბერს შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა ხელშეკრულების მოქმედების ვადის

გაგრძელების თაობაზე 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რადგანაც ამ პერიოდში სრულად მოხდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულება. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება მოხდა 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, რა დროშიც მან სრულად ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა მოცემული დროისთვის მეორე ეტაპისათვის განსაზღვრული 820,13 $м^3$ ხე-ტყე სრულად იქნა დამზადებული, აქედან 321,195 $м^3$-სთვის საჭირო იყო მისი დანიშნულების ადგილამდე მიტანა, მაგრამ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მას აღარ მიეცა საშუალება აღნიშნული ხე-ტყე დაესაწყობებინა და მიეტანა საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ 2022 წლის 25 დეკემბერს სიტყვიერადაც მოითხოვა ნებართვა დამზადებული ხე-ტყის გამოტანაზე, რაზეც ეთქვა უარი.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 27 სექტემბერს, SPA210002400 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოსა“ და შპს „ლ.ჯ.+“-ს (ს/ნ: 443868771) შორის დაიდო №220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს 2022 წლის 1 ივლისამდე უნდა გაეწია 1120,13 $м^3$ წიწვოვანი სახეობის ხე-ტყის/მერქნული რესურსის დამზადების მომსახურება. ხელშეკრულებების ღირებულებად განისაზღვრა 83 180, 85 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 ივლისი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 25 სექტემბერი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 19 დეკემბერი.

4.3. მიმწოდებელმა 2022 წლის 29 ნოემბრის № 12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ დამზადებული ჰქონდა დარჩენილი 538,59 $м^3$ ხე-ტყის რესურსი, რომელიც იყო გამოსატანი და ჩასაბარებელი. ამავე წერილით მიმწოდებელმა სახელშეკრულებო ვადის 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელება ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესასრულებლად.

4.4. სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის 2022 წლის 28 დეკემბრის საბოლოო დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ნაცვლად 1120,13 $м^3$ ხე-ტყისა 2022 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით დამზადა 798,935 $м^3$ ხე-ტყე. ტყეკაფზე მოჭრილი და გამოუზიდავი იყო საორიენტაციოდ 220 $м^3$ ხე-ტყე, მათ შორის დასატვირთ ბაქანზე განთავსებული იყო 60 ^{3} ხე-ტყე. მოუჭრელად დატოვებულ ხეთა რაოდენობა იყო 30 ცალი. ათვისებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხე-ტყის 71%.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2023 წლის 11 იანვრის № 11/71 წერილით მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

4.6. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა გაწია 59 328,91 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 71%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლ.ჯ.+“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო მიუთითებს მიმწოდებლის განმარტებაზე არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო მომსახურების გაწევის ხელშეშლასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის და მიმწოდებელს არც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი/მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოცემულ გარემოებებსა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებას შორის. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელი მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე ხელმოწერით დაეთანხმა ამავე შეთანხმების პირობებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2022 წლის 20 დეკემბრამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გაუგებარია, თუ მიმწოდებელი არ ეთანხმებოდა მოცემულ პირობას რატომ აფორმებდა მისთვის არასასურველ შეთანხმებას. ამდენად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (რასაც თავადაც არ უარყოფს განმარტებაში) და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ლ.ჯ.+“-ს (ს/ნ: 443868771) 2022 წლის 24 ნოემბერს მიეცა გაფრთხილება SPA210001790 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 19 ივლისის №112 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. შპს „ლ.ჯ.+“-ის გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2023 წლის 24 ნოემბერს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „ლ.ჯ.+“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ლ.ჯ.+“ (ს/ნ:443868771) 2023 წლის 10 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე